დანართი N2

ინფექციის პრევენციისა და კონტროლის დროებითი რეკომენდაცია (გაიდლაინი) სასწრაფო სამედიცინო დახმარების მიმწოდებლებისათვის

სარჩევი

შესავალი .....

სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანების წმენდა და დეზინფექცია.....

სასწრაფო სამედიცინო დახმარების პერსონალის ვაქცინაცია.....

რეკომენდაციები ინფექციის პრევენციისა და კონტროლის შესახებ სასწრაფო სამედიცინო დახმარების პერსონალისათვის პაციენტის ტრანსპორტირებისას 1

დანართი 1. 1

სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანების წმენდისა და დეზინფექციის კითხვარი 1

დანართი 2. 1

სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანის აღჭურვილობის წმენდის სტანდარტები.....1

დანართი 3. 2

სასწრაფო დახმარების მანქანაში პაციენტის იზოლაციის ინსტრუქცია 2

შესავალი

სასწრაფო სამედიცინო დახმარების (შემდგომში - სსდ) მომსახურების მიმწოდებლები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ინფექციების პრევენციასა და კონტროლის სფეროში. სამედიცინო მომსახურების მიწოდების წინა ხაზზე ყოფნის გამო, ისინი ინფექციური დაავადებებით ინფიცირებული პაციენტებისგან ექსპოზიციის მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან. რესპირატორული ინფექციები (მაგ. გრიპი, ახალი კორონავირუსის ინფექცია) და ანტიმიკრობული საშუალებებისადმი რეზისტენტული ბაქტერიები, როგორიცაა მეტიცილინ-რეზისტენტული Staphylococcus aureus (MRSA), ვანკომიცინ-რეზისტენტული Enterococcus (VRE) და Clostridium difficile მთავარი პრობლემაა სამედიცინო მომსახურების ყველა მიმწოდებლისათვის, სასწრაფო სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელთა ჩათვლით.

გაიდლაინის ამოცანებია: (1) სსდ-ის მიმწოდებლები უზრუნველყოს ინფორმაციით ინფექციების პრევენციისა და კონტროლის (შემდგომში - იპკ) საუკეთესო პრაქტიკისა და რეკომენდაციების შესახებ და (2) დაიცვას პაციენტები და სსდ-ის მიმწოდებლები პოტენციური დაინფიცირებისაგან.

გაიდლაინი მოიცავს:

- რეკომენდაციებს სასწრაფო დახმარების მანქანის წმენდისა და დეზინფექციის შესახებ;
- რეკომენდაციებს სსდ-ის მიმწოდებლების ვაქცინაციის და ტესტირებისთვის;
- პაციენტების ტრანსპორტირებისას იპკ-ს რეკომენდაციებს.

გაიდლაინი გამიზნულია იმ პირებისათვის, რომლებიც ჩართულნი არიან პრეჰოსპიტალურ გარემოში ინფექციების გავრცელების პრევენციაში, სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამედიცინო და ადმინისტრაციული პერსონალის ჩათვლით.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანების წმენდა და დეზინფექცია

აუცილებელია სასწრაფო დახმარების მანქანაში შესაბამისი წმენდა/დასუფთავების ტექნიკის ზედმიწევნით გამოყენება პათოგენების (დაავადების გამომწვევი მიკრობების) შემდგომი გავრცელების პრევენციისათვის პრეჰოსპიტალურ გარემოში.

სასწრაფო დახმარების მანქანებისა და პაციენტების მოვლისათვის გამოყენებული აპარატურის გაწმენდისა და დეზინფექციის საუკეთესო პრაქტიკის დაცვა მნიშვნელოვანი ფაქტორია ინფექციების გავრცელების თავიდან ასაცილებლად. სსდ-ის მიმწოდებლები და მათ პაციენტები არიან ინფექციის გავრცელების მაღალი რისკის მატარებლები, თუ არ არსებობს შესაბამისი რეკომენდაციები ან არ ხდება რეკომენდაციების შესრულება.

<u>საგნები ან ზედაპირები, რომლებიც შეეხო პაციენტის კანს, სისხლს ან სხვა ბიოლოგიურ სითხეებსითვლება დაბინძურებულად</u>

დაავადებების გამომწვევი მიკროორგანიზმები სხვადასხვა საგნებზე შეიძლება ცოცხლობდნენ დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში. დაბინძურებულმა საგნებმა შეიძლება გამოიწვიოს დაავადება და გაავრცელოს ინფექცია. პრეჰოსპიტალურ გარემოში ინფექციების გავრცელების თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია პაციენტის მოვლის საგნები (მაგ.: საგნები, რომლებიც კანთან ან /და ლორწოვან გარსებთან შეხებაშია) და გარემოს ზედაპირები გაიწმინდოს და

დეზინფიცირდეს თითოეული პაციენტის შემდეგ.

პაციენტის მოვლისთვის საჭირო საგნებისა და ზედაპირების ჩამონათვალი, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუწყოს ინფექციის გავრცელებას:

- სტეტოსკოპები;
- ტონომეტრები;
- მონიტორები;
- საკაცეები, საიმობილიზაციო დაფა და ინსტრუმენტები;
- ლარინგოსკოპის სოლები;
- რაციები;
- თაროები;
- კარის სახელურები;
- სასწრაფო დახმარების მანქანის ან სხვა სატრანსპორტო საშუალების სხვა საგნები და ზედაპირები.

სამედიცინო დახმარების მანქანის წმენდა/დასუფთავება და დეზინფექცია

წმენდა/დასუფთავება განისაზღვრება ზედაპირიდან ან საგნებიდან უცხო და ორგანული მასალების (როგორიცაა სისხლი, ორგანიზმის ბიოლოგიური სითხეები და დაავადების გამომწვევი მიკროორგანიზმები) ფიზიკური მოცილება. დასუფთავება ფიზიკურად აშორებს, მაგრამ არ კლავს მიკროორგანიზმებს. დასუფთავება ხორციელდება წყლით, სარეცხი და სახეხი საშუალებებით. დასუფთავების საკვანძო მომენტია მექანიკური ხახუნის გამოყენება ნაწილაკების მოსაშორებლად და მიკრობების რაოდენობის შესამცირებლად.

დეზინფექცია არის პროცესი, რომელიც გამოიყენება საგნებსა და ზედაპირებზე მიკროორგანიზმების გასანადგურებლად და მათი ცხოველმყოფელობის შესაჩერებლად. სადეზინფექციო საშუალებები უნდა იქნას გამოყენებული მხოლოდ მას შემდეგ, რაც საგნები საფუძვლიანად გაიწმინდება.

დასუფთავება და დეზინფექცია ორსაფეხურიანი პროცესია. გაწმენდის შემდეგ, სადეზინფექციო საშუალება უნდა იქნას გამოყენებული და დარჩეს ზედაპირზე სრული საკონტაქტო დროის განმავლობაში. საკონტაქტო დრო, ან განადგურების დრო, არის დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც სადეზინფექციო საშუალება უნდა დარჩეს გასაწმენდ ზედაპირზე ან საგანზე, როგორც ეს განსაზღვრულია მწარმოებლის ინსტრუქციის შესაბამისად.

რეკომენდაციები სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანების წმენდისა და დეზინფექციისათვის

1. დეზინფექციის ჩატარებამდე საგნები და ზედაპირები უნდა გაიწმინდოს.

2. სატრანსპორტო საშუალებაში უნდა იყოს გამოყენებული შემდეგი რუტინული გაწმენდისა და დეზინფექციის რეკომენდაციები:

ა) ხილული ჭუჭყი, სისხლი და სხვა სუბსტანციები საგანს ან ზედაპირს უნდა მოშორდეს სადეზინფექციო საშუალების გამოყენებამდე;

ბ) დასუფთავება და დეზინფექცია უნდა ჩატარდეს რაც შეიძლება სწრაფად, საგნებისა და ზედაპირების გამოყენების შემდეგ. სადეზინფექციო საშუალებები უნდა იქნას გამოყენებული მწარმოებლის ინსტრუქციის შესაბამისად. დაცული უნდა იქნას უსაფრთხოების ყველა ზომა (მაგ., იზოლირებულ ადგილებში სათანადო ვენტილაციის არსებობა და სათანადო უტილიზაცია). სადეზინფექციო საშუალებების გამოყენების დროს აუცილებელია ხელთათმანების ჩაცმა. ხელთათმანების გახდის შემდეგ, დაუყოვნებლივ უნდა ჩატარდეს ხელის ჰიგიენა;

გ) პაციენტის მოვლის მრავალჯერადი დაბინძურებული საშუალებები და აღჭურვილობა უნდა განთავსდეს მკაფიოდ მარკირებულ ბიოუსაფრთხოების პარკებში, შესაბამისი წმენდისა და დეზინფექციისთვის;

დ) შესაბამის ჩანთაში მოთავსებული ერთჯერადი მოწყობილობები და დაბინძურებული თეთრეული უნდა განთავსდეს პაციენტის მიმღებ ჰოსპიტალში და მოხდეს მათი უტილიზაცია;

ე) ხშირ შეხებაში მყოფი ზედაპირები (მათ შორის საკაცეები, მოაჯირები, სამედიცინო აღჭურვილობის მართვის პანელები, იატაკი, კედლები, ჭერი და სამუშაო ზედაპირები, კარის სახელურები, რაციები, კლავიატურა და მობილური ტელეფონები), რომლებიც უშუალოდ დაბინძურდა რესპირატორული სეკრეტებით და სხვა ბიოლოგიური სითხეებით პაციენტის მოვლის დროს ან არაპირდაპირი გზით - ხელთათმანიანი ხელის შეხებით - ჯერ უნდა გაიწმინდოს და შემდეგ დეზინფიცირდეს რეგისტრირებული სადეზინფექციო საშუალების გამოყენებით, მწარმოებლის მითითებების შესაბამისად. უნდა დარწმუნდეთ, რომ სადეზინფექციო საშუალებაზედაპირზე დარჩება სრული საკონტაქტო ანუ მიკროორგანიზმების განადგურების დროის განმავლობაში, როგორც ეს მითითებულია მწარმოებლის მიერ;

ვ) სატრანსპორტო საშუალების არეები, სადაც არ ხდება პაციენტის მოვლა, როგორიცაა მძღოლის განყოფილება, შეიძლება არაპირდაპირი გზით დაბინძურდეს. პერსონალი განსაკუთრებით სიფრთხილით უნდა მოეკიდოს იმ გარემოს დაბინძურებას, რომელიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული პაციენტის მოვლასთან (მაგ., საჭე, სინათლის ჩამრთველები, სიჩქარის კოლოფი და ა.შ.). თუ მძღოლის განყოფილებაში ზედაპირები დაბინძურდება, გაწმინდეთ და ჩაუტარეთ დეზინფექცია.

დამატებითი ინფორმაცია აღნიშნული პროცედურების შესახებ იხილეთ N1 დანართში - სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანების წმენდისა და დეზინფექციის კითხვარი

რეკომენდაციები სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანების წმენდა/დასუფთავების სიხშირისშესახებ

1. მაღალი რისკის შემცველი ზედაპირები

ზედაპირები, რომლებსაც ხშირად ეხებიან ხელით (როგორც ხელთათმნიანი, ისე უხელთათმნო)უნდა გაიწმინდოს/დასუფთავდეს და დეზინფიცირდეს ყოველი პაციენტის შემდეგ.

საკაცეები	სტეტოსკოპები	სამუშაო ზედაპირები რაციები
კარის სახელურები	მონიტორინგის აპარატურა და საკონტროლო პანელები	სინათლის ჩამრთველები
კომპიუტერის კლავიატურა და ეკრანი		
	საჭე	

2. დაბალი რისკის შემცველი ზედაპირები

ზედაპირები, რომელბსაც ხელით მინიმალურად ეხებიან უნდა გაიწმინდოს სისტემატურად ან დაბინძურდების შემთხვევაში.

იატაკები	ჭერი	კარადები
კედლები	ფანჯრები	

მიმწოდებლებმა ყოველთვის უნდა გადაწმინდონ ხელსაწყოები/ინსტრუმენტები და ყურადღება გაამახვილონ პაციენტის მოვლა-პატრონობისთვის გამოყენებულ საშუალებებზე.

იხილეთ N2 დანართი - სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანის აღჭურვილობის წმენდის სტანდარტები

<u>განსაკუთრებული სიფრთხილის ზომები და რეკომენდაციები</u>

რუტინული დასუფთავება და დეზინფექცია შეიძლება არ იყოს ადეკვატური ზოგიერთი მიკროორგანიზმის, განსაკუთრებით Clostridium difficile-ს და Norovirus-ის მოსაცილებლად დაბინძურებული ზედაპირებიდან

1. C. difficile -ს ზედაპირებისა და პაციენტების მოვლის საგნებიდან მოსაშორებლად საჭიროა დასუფთავების და დეზინფექციის სპეციალური პრაქტიკა. C. difficile არის სპორების წარმომქმნელი ბაქტერია, რომელიც იწვევს ძლიერ დიარეას. ის მდგრადია გერმიციდული ქიმიკატების მიმართ და გარემოში შეიძლება შენარჩუნდეს თვეების განმავლობაში.
2. სასწრაფო დახმარების მანქანები, რომლებსაც ხშირად გადაჰყავთ პაციენტები მოხუცთა თავშესაფრებიდან და ხანგრძლივი მოვლის დაწესებულებებიდან C. difficile-ს ზემოქმედების უფრო მაღალი რისკის ქვეშ არიან.
3. ნოროვირუსები (Norovirus) წარმოადგენს ვირუსების ჯგუფს, რომლებიც ადამიანებში მწვავე გასტროენტერიტს იწვევენ. ნოროვირუსები ძალზე კონტაგიოზურია და ადვილად გადადის ადამიანიდან ადამიანზე; ვირუსი გადაეცემა დაბინძურებული საგნებზე და ზედაპირებზე შეხების შემდეგ; ან პირნაღები მასების წვეთების საშუალებით. ნოროვირუსებს შეუძლიათ გარემოში სიცოხლისუნარიანობა შეინარჩუნონ მინიმუმ 12 დღის განმავლობაში.

C. difficile-თი ან ნოროვირუსით დაბინძურებული ობიექტებისა და ზედაპირების დეზინფექციისთვის რეკომენდებულია მხოლოდ მათეთრებლის (ნორმალური განზავება 1:10 წყალთან) გამოყენება.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანების წმენდა/დასუფთავებისა და დეზინფიცირებისათვის რეკომენდებულიპროდუქტები

პროდუქტი/ნივთიერება*	გამოყენება	უპირატესობა	ნაკლი
სპირტები (70-95%)	- ზოგიერთი ინსტრუმენტის/ ხელსაწყოს გარე ზედაპირები (მაგ.: სტეტოსკოპები, პულსოქსიმეტრ ები)	- არა-ტოქსიკური - იაფი - სწრაფი მოქმედება - უნარჩენო	- სწრაფად ორთქლდება, არ არის ზედაპირის იდეალური დეზინფექტანტი - მაღალი აალებადობა - აზიანებს სილიკონს, პლასტმასს და რეზინას - დეაქტივირდება ორგანული მასალის მიერ (გამოყენებამდე ზედაპირი უნდა გაიწმინდოს)
სტანდარტული მათეთრებელი (ნორმალური განზავება 1:10)	- გარე ზედაპირები - დაღვრილი სისხლი	- იაფი - სწრაფი მოქმედება - ადვილად ხელმისაწვდომია - ხელმისაწვდომია აეროზოლისა და ხელსაწმენდების სახით - სპოროციდული და ვირუციდული (ეფექტურია C. difficile-სა და ნოროვირუსის წინააღმდეგ)	- აზიანებს მეტალს - დეაქტივირდება ორგანული მასალის მიერ (გამოყენებამდე ზედაპირი უნდა გაიწმინდოს) აღიზიანებს კანსა და ლორწოვან გარსებს - განზავების შემდეგ, გამოყენებულ უნდა იყოს 24 საათის განმავლობაში - ალაქავებს ტანსაცმელს
	- ზოგიერთი	- უსაფრთხოა	- აზიანებს სპილენძს,

წყალბადის ზეჟანგი (0.5%)	ინსტრუმენტის/ ხელსაწყოს გარე ზედაპირები - იატაკები, კედლები და ავეჯი	გარემოსათვის - არა -ტოქსიკური - სწრაფი მოქმედება - აქტიურია ორგანული მასალის არსებობის შემთხვევაშიც - ხელმისაწვდომია სითხისა და ხელსაწმენდების სახით - კარგი გამწმენდია მისი მახასიათებლების გამო	თუთიას, ბრინჯაოს, აკრილს და ალუმინს - ტოვებს ხილულ ნალექს/ნარჩენს
ამიაკის მეოთხეული ნაერთები	- იატაკები, კედლები და ავეჯი - დაღვრილი სისხლი, დეზინფექციის წინ	- არა -ტოქსიკური - არა-კოროზიული - კარგი გამწმენდია მისი მახასიათებლების გამო	- არ გამოიყენება სამედიცინო ინსტუმენტების დეზინფექციისათვის - დეზინფექტანტად გამოყენების შეზღუდული შესაძლებლობა, მისი ვიწრო მიკრობული სპექტრის გამო

*შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ნებისმიერი აქ ჩამოთვლილიდან ხელმისაწვდომობის შესაბამისად.

<u>სასწრაფო სამედიცინო დახმარების პერსონალის ვაქცინაცია</u>

სასწრაფო სამედიცინო დახმარების პერსონალს შეხება აქვს პაციენტებთან, სისხლთან და სხვა ბიოლოგიურ სითხეებთან, დაბინძურებულ (კონტამინირებულ) სამედიცინო მასალებთან, აღჭურვილობასთან და გარემო ობიქტების ზედაპირებთან.

პაციენტებთან ხშირი კონტაქტის გამო სასწრაფო სამედიცინო დახმარების პერსონალს გააჩნია ექსპოზიციის მაღალი რისკი და ასევე შესაძლოა თვითონ წარმოადგენდეს ვაქცინით მართვადი დაავადებების გავრცელების წყაროს. სამედიცინო პერსონალი და მათი ხელმძღვანელები ინაწილებენ პასუხისმგებლობას, რათა მაქსიმალურად მოახდინონ პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფექციების პრევენცია და თავიდან აიცილონ პაციენტების, საკუთარი თავისა და ოჯახის წევრების დასნებოვნება უსაფრთხოების ზომების კეთილგონივრულად დაცვის შედეგად, ვაქცინებით მართვადი დაავადებების გავრცელების

პრევენციის საშუალებით.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების პერსონალი მიეკუთვნება მაღალ რისკ-ჯგუფს და მათ ჩატარებული უნდა ჰქონდეთ სავალდებულო პროფილაქტიკური იმუნიზაცია შემდეგ ინფექციებზე - B ჰეპატიტი (სამჯერადი), გრიპი (ერთჯერადი, ყოველწლიურად), წითელა, წითურა (ერთჯერადი, სავალდებულოა 1978 წლის შემდეგ დაბადებული არავაქცინირებული კონტიგენტისთვის). საფუძველი: ,,სავალდებულო პროფილაქტიკურ იმუნიზაციას დაქვემდებარებულ საქმიანობათა ნუსხის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 22 იანვრის №01-6/ნ ბრძანება.

ვაქცინაციის მნიშვნელობა

ვაქცინების საშუალებით შემცირდა ან აღმოიფხვრა მრავალი ინფექციური დაავადება, რომელიც ასოცირებული იყო ახალშობილების, ბავშვებისა და მოზრდილების სიკვდილობასა და დაავადებასთან. მიუხედავად ამისა, ვირუსები და ბაქტერიები, რომელებიც იწვევენ ვაქცინებით მართვად დაავადებებს და სიკვდილს, კვლავ არსებობენ და შესაძლოა მათი გავრცელება იმ პირებში, რომლებიც არ არიან დაცულნი ვაქცინაციით. ვაქცინებით მართვად დაავადებებს უკავშირდება მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიური ზიანი, როგორიცაა დაავადებული ბავშვების მიერ სკოლის გაცდენა, მათი მშობლების მოცდენა სამსახურიდან, ექიმთან ვიზიტები, ჰოპსიტალიზაცია და ზოგჯერ ლეტალური გამოსავალი.

ვაქცინების უსაფრთხოების მონიტორინგი მუდმივად მიმდინარეობს და სხვა სამკურნალო საშუალებების მსგავსად, ვაქცინებმა შეიძლება გამოიწვიოს გვერდითი მოვლენები. გვერდითი მოვლენების უმეტესება სუსტადაა გამოხატული (მაგ.: მხრის ტკივილი ან მცირედ მომატებული ტემპერატურა) და რამდენიმე დღეში უკუგანვითარებას განიცდის.

პაციენტებთან კონტაქტის გამო, სასწრაფო სამედიცინო დახმარების პერსონალს ვაქცინებით მართვადი დაავადებებით ექსპოზიციისა და მათი გადაცემის მაღალი რისკი აქვთ, ამიტომ სავალდებულოა სასწრაფო სამედიცინო დახმარების პერსონალის იმუნიზაცია. რეკომენდებულ ვაქცინაციაზე უარის თქმა ზრდის სასწრაფო სამედიცინო დახმარების პერსონალისა და მათთან კონტაქტში მყოფი პირების დაავადების რისკს.

რეკომენდაციები ინფექციის პრევენციისა და კონტროლის შესახებ სასწრაფო სამედიცინო დახმარებისპერსონალისათვის პაციენტის ტრანსპორტირებისას

მძიმე დაზიანების ან დაავადების მქონე პაციენტის გადაყვანა და ტრანსპორტირება ერთი სამედიცინო დაწესებულებიდან მეორეში წარმოადგენს წარმატებული გამოსავალის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს. პაციენტის გადაყვანისას მთავარი ამოცანაა მიმღებ დაწესებულებას ზუსტი ინფორმაცია მიეწოდოს ჩატარებული მკურნალობისა და პაციენტის მიმდინარე მდგომარეობის შესახებ. სასწრაფო სამედიცინო დახმარების პერსონალი მნიშვნელოვან როლს ასრულებს პაციენტის გადაყვანისას გადაუდებელი დახმარების ცენტრიდან სხვა კლინიკაში, ან ერთი საავადმყოფოდან მეორეში, ან სხვა სამედიცინო დაწესებულებაში, მაგალითად პალიატიურ კლინიკაში.

ხშირად ადექვატურად არ ხდება პაციენტის იზოლაციის საჭიროების შესახებ ინფორამციის გაზიარება სასწრაფო სამდიცინო დახმარებისა და კლინიკის პერსონალს შორის. გაუმართავი კომუნიკაცია წარმოადგენს ბარიერს ინფექციის პრევენციისა და კონტროლის ეფექტური ღონისძიებების განხორციელებისათვის და პოტენციურად ზრდის გამომწვევების გავრცელების საშიშროებას. სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა და კლინიკის პერსონალს შორის დროული და ეფექტური კომუნიკაცია აუცილებელია ინფექციის გავრცელების პრევენციისათვის და პაციენტისა და სამედიცინო პერსონალის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის.

ინფექციის პრევენციისა და კონტროლის შესახებ ეფექტური კომუნიკაციის ხელშემშლელ ფაქტორთაგან ყველაზე გავრცელებულია შემდეგი:

- პაციენტის იზოლაციის საჭიროების შესახებ ინფორმაციის არ, ან არასრულად გაზიარება;
- ინფექციის პრევენციისა და კონტროლის პროცედურების არცოდნა;
- ხშირად ინფექციის კონტროლთან დაკავშირებული ნიშნები და აღნიშვნები დაფარულია, მოხსნილია ან არ არის ადვილად აღსაქმელი.

ქვემოთ მოწოდებული გაიდლაინი შექმნილია ერთი სამედიცინო დაწესებულებიდან მეორეში ტრანსპორტირებისას პაციენტისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების პერსონალის ინფიცირების რისკის შესამცირებლად.

<u>სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა და საავადმყოფოს პერსონალს შორის კომუნიკაცია</u>

თუ პაციენტს ესაჭიროება დამატებითი იზოლაციური ღონისძიებები, ეფექტური და უსაფრთხო ტრანსპორტირებისათვის აუცილებელია პროცესში ჩართულ პერსონალს შორის დროული კომუნიკაცია და საჭირო ღონისძიებების წინასწარ განსაზღვრა. ნებისმიერი პაციენტის ტრანსპორტირებისას, პაციენტთან კონტაქტამდე სასწრაფო სამედიცინო დახმარების პერსონალმა წინასწარ უნდა დაადგინოს, საჭიროა თუ არა იზოლაციური ღონისძიებების გამოყენება. ამისათვის შესაძლოა საჭირო გახდეს საავადმყოფოს პერსონალისაგან დამატებითი ინფორმაციის მიღება. თუ პაციენტის მდგომარეობა მოითხოვს იზოლაციას, სასწრაფო სამედიცინო დახმარების პერსონალმა უნდა მოითხოვოს შემდეგი სახის ინფორმაციის სრულად მიწოდება.

- ➢ ჩამოთვლილი სიმპტომების არსებობა:
  - ✓ ხველა
  - ✓ დიარეა
  - ✓ გამონაყარი
  - ✓ ღია ჭრილობა
  - ✓ ცხელება

- იზოლაციის სპეციალური ღონისძიებების საჭიროება და რეკომენდებული ინდივიდუალური დაცვის საშუალებები;
- პაციენტის მდგომარეობასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

როდესაც სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადას გადაჰყავს პაციენტი საეჭვო ან დადასტურებული ინფექციით, მიმღები დაწესებულების პერსონალს დაუყოვნებლივ და სრულად უნდა გადასცეს ზემოთ მოყვანილი ინფორმაცია.

<u>იზოლაციის საჭიროების მქონე პაციენტების ტრანსპორტირება</u>

ინფექციის გავრცელების რისკის შესამცირებლად რეკომენდებულია, რომ სასწრაფო სამედიცინო დახმარების პერსონალმა ყოველთვის, ყველა პაციენტთან დაიცვას უსაფრთხოების სტანდარტული ზომები, მიუხედავად იმისა, საჭიროებს თუ არა კონკრეტული პაციენტი იზოლაციას. სტანდარტული უსაფრთხოების ზომები მოიცავს შემდეგს:

- ხელისა და რესპირატორული ჰიგიენის კარგი პრაქტიკა (ხველისა და ცემინების დროს პირისა და ცხვირის დაფარვა);
- ქირურგიული ნიღბის ტარება თუ პაციენტი ახველებს ან აღებინებს;
- ხალათის, ხელთათმანების, ნიღბისა და თვალის დამცავი საშუალებების გამოყენება სხეულის ბიოლოგიურ სითხეებთან შეხებისას;
- მრავალჯერადი გამოყენების სამედიცინო აღჭურვილობის გაწმენდა და დეზინფიცირება პაციენტებს შორის პერიოდში.

ზოგიერთ შემთხვევაში ზემოთ აღწერილ უსაფრთხოების სტანდარტულ ღონისძიებებთან ერთად საჭიროა დამატებითი იზოლაციური ღონისძიებების გამოყენებაც. იზოლაციური ღონისძიებები გამოიყენება იმ პაციენტებისათვის, რომელთაც მაღალი ალბათობით აღენიშნებათ ინფექცია და შესაძლოა გამომწვევების კანსა და დაბინძურებულ ზედაპირებთან შეხებით, ან ჰაერითა და წვეთოვანი გზით გავრცელება. იზოლაციური ღონისძიებები მოიცავს:

- კონტაქტურ იზოლაციას;
- წვეთოვან იზოლაციას;
- ღონისძიებებს ჰაერის გზით გადამდები დაავადებების შემთხვევაში.

პაციენტს, შესაძლოა, ესაჭიროებოდეს ერთზე მეტი ტიპის იზოლაციის ღონისძიებების გატარება. ჩვეულებრივ, საჭირო იზოლაციური ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია გამოკრულია პაციენტის ოთახის გარეთ და/ან მითითებულია სამედიცინო დოკუმენტაციაში. გაითვალისწინეთ, რომ ერთი და იგივე იზოლაციის ზომების აღსანიშნავად სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულება, შესაძლოა, იყენებდეს სხვადასხვა ნიშნებს. სასწრაფო სამედიცინო დახმარების პერსონალმა ყოველთვის უნდა დააზუსტოს გამოყენებული აღნიშვნის მნიშვნელობა დაწესებულების პერსონალთან ან ინფექციის პრევენციისა და კონტროლის სამსახურის წარმომადგენლებთან.

პაციენტის ტრანსპორტირებამდე, სასწრაფო სამედიცინო დახმარების პერსონალმა უნდა მოითხოვოს იზოლაციის ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. იხ. N3 დანართი - სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანაში პაციენტის იზოლაციის ინსტრუქცია წვეთოვანი იზოლაციის მიზნით (მ.შ. ახალი

კორანავირუსული COVID-19 ინფექცია) - მოახდინეთ სასწრაფო დახმარების მანქანის მძღოლის იზოლირება ავადმყოფის სათავსიდან. სათავსთაშორისი კარი/ფანჯარა უნდა იყოს მჭიდროდ დახურული. შემლებისდაგვარად გამოიყენეთ ავტომობილები იზოლირებული განყოფილებით მძღოლისა და პაციენტისთვის, რომელიც უზრუნველყოფილია განყენებული ვენტილაციის სისტემით ორივე ზონისთვის.

ავადმყოფის მანქანაში მოთავსებამდე მჭიდროდ დახურეთ სათავსთაშორისი კარი/ფანჯარა.

ტრანსპორტირების დროს ვენტილაცია ორივე სათავსში არ უნდა იყოს რეცირკულაციის რეჟიმში, მაქსიმალური ჰაერცვლა შეამცირებს პოტენციურად ინფიცირებული ნაწილაკების რაოდენობას სატრანსპორტო საშუალებაში.

თუ ავტომობილი აღჭურვილია უკანა გამწოვი ვენტილაციით, გამოიყენეთ იგი, რათა ჰაერცვლის მიმართულება იყოს მძღოლის კაბინიდან - პაციენტის მოვლის ზონისკენ და ავტომობილის უკანა გასასვლელისკენ.

ზოგიერთი ავტომობილი აღჭურვილია HEPA ფილტრებით, რაც ზრდის საათში ჰაერცვლის რაოდენობას.

თუ ავტომობილში არ არის მძღოლის სივრცის განცალკევებისა და ამ სივრცის განცალკევებულად ვენტილირების შესაძლებლობა, გახსენით გარე ვენტილაციის ღიობები მძღოლის განლაგების ზონაში და უკანა გამწოვი ვენტილაცია ჩართეთ მაქსიმალურ სიმძლავრეზე, ამგვარად პაციენტის განლაგების სივცეში შეიქმნება უარყოფითი წნევა.

დანართი 1

სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანების წმენდისა და დეზინფექციის კითხვარი

სატრანსპორტო საშუალების წმენდა თითოეული პაციენტის შემდეგ	
შესრულდა	ქმედება
☐	პოტენციურად ინფიცირებული სამედიცინო მასალა მოთავსებულია ნათლად მარკირებულ ბიოუსაფრთხოების კონტეინერში ან პარკში
☐	ფრთხილად მოათავსეთ ბასრი საგნები ბასრი საგნების კონტეინერში

□	გაწმინდეთ და ჩაუტარეთ დეზინფექცია პაციენტის მომსახურებისას გამოყენებულ ყველა ხელსაწყოს/ინსტრუმენტს/აპარატს (იხ.დანართი 2)
□	მოთხოვნის შესაბამისად, გაწმინდეთ და ჩაუტარეთ დეზინფექცია სატრანსპორტო საშუალების პაციენტის არეს და მძღოლის კაბინას
□	შეავსეთ ავტომანქანის მარაგები, საჭიროებისამებრ
□	თუ სატრანსპორტო საშუალება ძლიერ დაბინძურებულია, ის სამუშაოდ აღარ უნდა გამოიყენოთ და უნდა გაიწმინდოს თქვენს უწყებაში არსებული პროცედურების შესაბამისად.
	რუტინული გეგმიური წმენდა/დასუფთავება
შესრულდა	ქმედება – პაციენტის სათავსო
□	გამოიტანეთ ყველა ხელსაწყო/ინსტრუმენტი/აპარატი და გამოგავეთ სათავსო; გაწმინდეთ და ჩაატარეთ დეზინფექცია
□	მოხსენით საკაცეები; გაწმინდეთ და ჩაუტარეთ დეზინფექცია ყველა კომპონენტს- მატრასისა და ღვედების ჩათვლით
□	მოხსენით კედელზე დამაგრებული ვაკუუმის ტუმბო/საქაჩი; გაწმინდეთ და ჩაუტარეთ დეზინფექცია
□	დაცალეთ კარადები და თაროები; გაწმინდეთ და ჩაუტარეთ დეზინფექცია ყველა ზედაპირს
□	გაწმინდეთ, ჩაუტარეთ დეზინფექცია და გააშრეთ ზედაპირზე განთავსებული ყველა საგანი კარადაში ან თაროზე დაბრუნებამდე; შეამოწმეთ ხომ არ არის დაზიანებული და ვადაგასული; შეაკეთეთ/გამოცვალეთ საჭიროების მიხედვით.
□	გამოგავეთ, მტვერსასრუტით გაწმინდეთ, გაწმინდეთ და ჩაუტარეთ დეზინფექცია იტაკს
□	გაწმინდეთ და ჩაუტარეთ დეზინფექცია სკამებსა და ღვედებს
□	გაწმინდეთ და ჩაუტარეთ დეზინფექცია შიდა ზედაპირებს, ჭერისა და კედლების ჩათვლით
□	დაცალეთ, გაწმინდეთ და დეზინფექცია ჩაუტარეთ ნარჩენების კონტეინერებს
□	გაწმინდეთ შიდა ფანჯრები
შესრულდა	ქმედება – მძღოლის კაბინა
□	ავტომობილის წინა ნაწილიდან მოხსენით ყველა აპარატი
□	გაასუფთავეთ და მტვერსასრუტით გაწმინდეთ იატაკი
□	გაწმინდეთ და დეზინფექცია ჩაუტარეთ ყველა შიდა ზედაპირს- კედლების, კარების, რადიო აპარატურის, ფანჯრების და ინსტრუმენტების პანელის ჩათვლით

სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანის აღჭურვილობის წმენდის სტანდარტები

მანქანის აღჭურვილობა – პაციენტთან კონტაქტი			
აღჭურვილობა	სტანდარტი	წმენდის სიხშირე	დამატებითი მოსაზრებები
საკაცეები	ყველა ნაწილი უნდა იყოს ვიზუალურად სუფთა, სისხლის, სხეულის სითხეების,მტვრის, ჭუჭყის, ნარჩენების ან გაღვრის კვალის გარეშე	თითოეული პაციენტისათვის გამოყენების შემდეგ	
საიმობილიზაციო დაფა / თავის ფიქსატორი	ყველა ნაწილი უნდა იყოს ვიზუალურად სუფთა, სისხლის, სხეულის სითხეების,მტვრის, ჭუჭყის, ნარჩენების ან გაღვრის კვალის გარეშე	თითოეული პაციენტისათვის გამოყენების შემდეგ	
სატრანსპორტო სკამი და ხელით გადაყვანისთვის განკუთვნილი სხვა აღჭურვილობა	ყველა ნაწილი უნდა იყოს ვიზუალურად სუფთა, სისხლის, სხეულის სითხეების, მტვრის, ჭუჭყის, ნარჩენების ან გაღვრის კვალის გარეშე	თითოეული პაციენტისათვის გამოყენების შემდეგ	
მრავალჯერადი გამოყენების ყველა სამედიცინო ინსტრუმენტი (მაგ: გულის მონიტორი, დეფიბრილატორი, ხელოვნური სუნთქვის აპარატი და სხვ.)	ყველა ნაწილი უნდა იყოს ვიზუალურად სუფთა, სისხლის, სხეულის სითხეების, მტვრის, ჭუჭყის, ნარჩენების ან გაღვრის კვალის გარეშე	თითოეული პაციენტისათვის გამოყენების შემდეგ	
საკაცის მატრასები	უნდა იყოს ვიზუალურად სუფთა, სისხლის, სხეულის სითხეების,მტვრის, ჭუჭყის, ნარჩენების ან გაღვრის კვალის გარეშე	თითოეული პაციენტისათვის გამოყენების შემდეგ	

ბალიშები	უნდა იყოს ვიზუალურად სუფთა, სისხლის, სხეულის სითხეების,მტვრის, ჭუჭყის, ნარჩენების ან გაღვრის კვალის გარეშე	თითოეული პაციენტისათვის გამოყენების შემდეგ	
თეთრეული	უნდა იყოს ვიზუალურად სუფთა, სისხლის, სხეულის სითხეების, მტვრის, ჭუჭყის, ნარჩენების ან გაღვრის კვალის გარეშე	თითოეული პაციენტისათვის გამოყენების შემდეგ	
მგზავრის სკამი - ქსოვილის შალითიანი	ყველა ნაწილი-ღვედების და სკამის ქვეშ ზედაპირის ჩათვლით-უნდა იყოს ვიზუალურად სუფთა, სისხლის, სხეულის სითხეების, მტვრის, ჭუჭყის,ნარჩენების ან გაღვრის კვალის გარეშე	თითოეული პაციენტისათვის გამოყენების შემდეგ	გამოცვალეთ ღვედები, თუ ძლიერ დაბინძურდება სისხლით ან სხეულის სითხეებით სავარძლის გახეული ან დაზიანებული შალითები უნდა გამოცვალოთ გაწმინდეთ მტვერსასრუტით და/ან შამპუნით, თუ აუცილებელია
მგზავრის სკამი - ვინილის შალითით	შალითა არ უნდა იყოს დაზიანებული ყველა ნაწილი-ღვედების და სკამის ქვეშ ზედაპირის ჩათვლით-უნდა იყოს ვიზუალურად სუფთა, სისხლის, სხეულის სითხეების, მტვრის, ჭუჭყის,ნარჩენების ან გაღვრის კვალის გარეშე	თითოეული პაციენტისათვის გამოყენების შემდეგ	გამოცვალეთ ღვედები, თუ ძლიერ დაბინძურდება სისხლით ან სხეულის სითხეებით სავარძლის გახეული ან დაზიანებული შალითები უნდა გამოცვალოთ

სამედიცინო აირის აპარატურა	ყველა ნაწილი-სარქველების და ცილინდრის ჩათვლით-უნდა იყოს ვიზუალურად სუფთა, სისხლის, სხეულის სითხეების, მტვრის, ჭუჭყის, ნარჩენების ან გაღვრის კვალის გარეშე	თითოეული პაციენტისათვის გამოყენების შემდეგ	შეცვალეთ ერთჯერადი საგნები ყოველი გამოყენების შემდეგ
კომპიუტერული აპარატურა	ყველა ნაწილი უნდა იყოს ვიზუალურად სუფთა, სისხლის, სხეულის სითხეების, მტვრის, ჭუჭყის, ნარჩენების ან გაღვრის კვალის გარეშე	ყოველდღიურად და ყოველი გამოყენების შემდეგ; განსაკუთრებით, თუ გამოიყენება პაციენტის მკურნალობისას	

მანქანის აღჭურვილობა – პაციენტთან კონტაქტის გარეშე			
აღჭურვილობა	სტანდარტი	წმენდის სიხშირე	დამატებითი მოსაზრებები
რეაგირების ნაკრებები და ჩანთები	ყველა ზედაპირი უნდა იყოს ვიზუალურად სუფთა, სისხლის, სხეულის სითხეების, მტვრის, ჭუჭყის, ნარჩენების ან გაღვრის კვალის გარეშე	პაციენტის მოვლის არეში სისტემატურად შეტანილი ჩანთები უნდა გაიწმინდოს ყოველი მოხმარების შემდეგ -განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თუ დაბინძურებულია სისხლით ან სხეულის სითხეებით ინტენსიურად გამოყენებული ჩანთები უნდა	სასწრაფოს მანქანაში განთავსებული ყველა ჩანთა უნდა იყოს გაწმენდადი მასალისგან სისხლით ან სხეულის სითხეებით ძლიერ დაბინძურებული ნებისმიერი ჩანთა უნდა უტილიზდეს

		გაირეცხოს კვირაში ერთხელ ან თვეში ერთხელ ნაკლებად გამოყენებული ჩანთები ირეცხება ორ თვეში ერთხელ	
პორტატული აპარატურა (მაგ: რადიოები და მობილური ტელეფონები)	ყველა ნაწილი უნდა იყოს ვიზუალურად სუფთა, სისხლის, სხეულის სითხეების, მტვრის, ჭუჭყის, ნარჩენების ან გაღვრის კვალის გარეშე	დღეში ერთხელ და დაბინძურე ბის შემთხვევაშ ი	
ბასრი საგნების კონტეინერი	გარე ზედაპირები უნდა იყოს ვიზუალურად სუფთა, სისხლის, სხეულის სითხეების, მტვრის, ჭუჭყის, ნარჩენების ან გაღვრისკვალის გარეშე	კვირაში ერთხელ და დაბინძურე ბის შემთხვევაშ ი	
მანქანა – ინტერიერის და ექსტერიერის სტატიკური ნაწილები			
აღჭურვილობა	სტანდარტი	წმენდის სიხშირე	დამატებითი მოსაზრებები
ზოგადი სახე- - ექსტერიერი	ავტომობილის ექსტერიერი ყოველთვის სუფთა უნდა იყოს. დაუშვებელია სისხლის ან სხეულის სითხეების რაიმე კვალი	რუტინულად უნდა გასუფთავდეს კვირაში ერთხელ, ან ამინდის მიხედვით	თუ დატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო ვერ ხერხდება ექსტერიერის დასუფთავება, სისუფთავის მინიმალური სტანდარტები უნდა შეესაბამებოდეს ჯანმრთელობისა

			და უსაფრთხოების მოთხოვნებს (მაგ: ფანჯრები, ფარები, სარკეები, ამრეკლები, სანომრე ნიშნები)
ზოგადი სახე - ინტერიერი	არე უნდა იყოს მოწესრიგებული, კარგად მოვლილი, შესაბამისი ავეჯით; გადატვირთვის გარეშე დაუშვებელია სისხლის ან სხეულის სითხეების რაიმე კვალი	პაციენტებს შორის, ყოველდღიურად და საფუძვლიანად- კვირაში ერთხელ	დაასუფთავეთ ყველა ზედაპირი, რომელსაც პაციენტი შეეხო და რომელიც შეიძლება დაბინძურებული იყოს ეკიპაჟმა რეგულარულა დ უნდა გაწმინდოს მანქანის იატაკი მოხსენით ყველა მოძრავი ელემენტი და სახარჯი მასალა
ჭერი	ყველა ზედაპირი უნდა იყოს ვიზუალურად სუფთა, სისხლის, სხეულის სითხეების, მტვრის, ჭუჭყის, ნარჩენების ან გაღვრის კვალის გარეშე	კვირაში ერთხელ	თუ დაბინძურდა, გაწმინდეთ რაც შეიძლება სწრაფად
კარადები, უჯრები და თაროები	ყველა ნაწილი, ინტერიერის ჩათვლით, უნდა იყოს ვიზუალურად სუფთა, სისხლის, სხეულის სითხეების, მტვრის, ჭუჭყის, ნარჩენების ან გაღვრის კვალის გარეშე	კვირაში ერთხელ	თუ დაბინძურდა, გაწმინდეთ რაც შეიძლება სწრაფად

საგნების დისპენსერები	დისპენსერის ყველა ნაწილი, ძირის ჩათვლით, უნდა იყოს ვიზუალურად სუფთა, სისხლის, სხეულის სითხეების, მტვრის, ჭუჭყის, ნარჩენების ან გაღვრის კვალის გარეშე	დღეში ერთხელ და თუ დაბინძურდა, გაწმინდეთ რაც შეიძლება სწრაფად	სითხეები დისპენსერის ტუჩი არ უნდა იყოს სითხის ნარჩენით სავსე და გარშემო არ უნდა იყოს სითხის შხეფები
ელექტრული გადამრთველები, ბუდეები და თერმოსტატები	ყველა ნაწილი, ძირის ჩათვლით, უნდა იყოს ვიზუალურად სუფთა, სისხლის, სხეულის სითხეების, მტვრის, ჭუჭყის, ნარჩენების, გაღვრის ან წებოვანი ლენტის კვალის გარეშე	კვირაში ერთხელ ან თუ დაბინძურდა, გაწმინდეთ რაც შეიძლება სწრაფად	
აპარატურის კონსოლები/სამაგრები	კონსოლების ყველა ნაწილი, ძირის ჩათვლით, უნდა იყოს ვიზუალურად სუფთა, სისხლის, სხეულის სითხეების, მტვრის, ჭუჭყის, ნარჩენების ან გაღვრის კვალის გარეშე	კვირაში ერთხელ ან თუ დაბინძურდა, გაწმინდეთ რაც შეიძლება სწრაფად	
ცეცხლმაქრი	ყველა ზედაპირი, ძირის ჩათვლით, უნდა იყოს ვიზუალურად სუფთა, სისხლის, ბიოლოგიური სითხეების, მტვრის, ჭუჭყის, ნარჩენების ან გაღვრის კვალის გარეშე	კვირაში ერთხელ ან თუ დაბინძურდა, გაწმინდეთ რაც შეიძლება სწრაფად	
იატაკი	მთლიანი იატაკი ყველა კიდის, კუთხის და ზედაპირის ჩათვლით, უნდა იყოს ვიზუალურად სუფთა, სისხლის, სხეულის სითხეების, მტვრის, ჭუჭყის, ნარჩენების ან გაღვრის კვალის გარეშე	დღეში ერთხელ და მაშინ, როდესაც ძალიან ჭუჭყიანი ან დაბინძურებულია სისხლით და/ან სხვა ბიოლოგიური სითხეებით	
იატაკზე დამაგრებული საკაცის ჩამკეტი/სკამის სამაგრი	ყველა ზედაპირი, ძირის ჩათვლით, უნდა იყოს ვიზუალურად სუფთა, სისხლის, სხეულის სითხეების, მტვრის, ჭუჭყის,	კვირაში ერთხელ ან თუ დაბინძურდა, გაწმინდეთ რაც შეიძლება სწრაფად	

	ნარჩენების ან გაღვრის კვალის გარეშე		
სახელურები	ყველა ზედაპირი, ძირის ჩათვლით, უნდა იყოს ვიზუალურად სუფთა, სისხლის, სხეულის სითხეების, მტვრის, ჭუჭყის, ნარჩენების ან გაღვრის კვალის გარეშე	გაწმინდეთ ყველა სახელური, რომელსაც შეეხნენ, ყოველი პაციენტის შემდეგ გაწმინდეთ ყველა სახელური კვირაში ერთხელ	
გათბობა/ვენტილაციის ცხაურები	ცხაურის ყველა გარე ზედაპირი, უნდა იყოს ვიზუალურად სუფთა, სისხლის, სხეულის სითხეების, მტვრის, ჭუჭყის, ნარჩენების ან გაღვრის კვალის გარეშე	კვირაში ერთხელ ან თუ დაბინძურდა, გაწმინდეთ რაც შეიძლება სწრაფად	
კედლები	კედლის ყველა ზედაპირი, უნდა იყოს ვიზუალურად სუფთა, სისხლის, სხეულის სითხეების, მტვრის, ჭუჭყის, ნარჩენების ან გაღვრის კვალის გარეშე	კვირაში ერთხელ ან თუ დაბინძურდა, გაწმინდეთ რაც შეიძლება სწრაფად	
ფანჯრები	ინტერიერის ყველა ზედაპირი უნდა იყოს სხეულის სითხეების,მტვრის, ჭუჭყის, ნარჩენების, გაღვრის ან წებოვანი ლენტის კვალის გარეშე სტანდარტული სისუფთავე სისტემატურად უნდა შენარჩუნდეს	კვირაში ერთხელ ან თუ დაბინძურდა, გაწმინდეთ რაც შეიძლება სწრაფად	

სამუშაო ზედაპირები	ყველა ზედაპირი, უნდა იყოს ვიზუალურად სუფთა, სისხლის, სხეულის სითხეების, მტვრის, ჭუჭყის, ნარჩენების ან გაღვრის კვალის გარეშე	თითოეული პაციენტის შემდეგ	
ნარჩენების ურნები	ნარჩენების ურნები, სახურავების ჩათვლით, უნდა იყოს ვიზუალურად სუფთა, სისხლის, სხეულის სითხეების, მტვრის, ჭუჭყის, ნარჩენების ან გაღვრის კვალის გარეშე	დღეში ერთხელ ან თუ დაბინძურდა, გაწმინდეთ რაც შეიძლება სწრაფად	

დანართი 3

სასწრაფო დახმარების მანქანაში პაციენტის იზოლაციის ინსტრუქცია

ქმედება	კონტაქტური უსაფრთხოების ზომები	წვეთოვანი უსაფრთხოების ზომები	უსაფრთხების ზომები ჰაერის გზით გადამდები ინფექციების დროს
ყველა პირი ოთახში შესვლა (სამედიცინო დაცვის პერსონალი და მშობლები/ვიზიტორები)	ხელის ჰიგიენა ხალათი ხელთათმანები	ხელის ჰიგიენა ნიღაბი	ხელის ჰიგიენა N95 რესპირატორი
პაციენტი ტრანსპორტირებისთვის მომზადებისას და ტრანსპორტირების პროცესში	პაციენტის სუფთა ხალათი პაციენტის სუფთა ზეწარი (და არა საწოლიდან აღებული ზეწარი)	პაციენტის სუფთა ხალათი პაციენტის სუფთა ზეწარი (და არა საწოლიდან აღებული ზეწარი) ნიღაბი (თუ პაციენტს არ შეუძლია ნიღბის გამოყენება, დაუფარეთ ცხვირი/პირი ზეწრით; სასწრაფოს მანქანაში შეყვანის შემდეგ შესაძლებელია ზეწრის მოხსნა)	პაციენტის სუფთა ხალათი სუფთა ზეწარი (და არა საწოლიდან აღებული ზეწარი) ნიღაბი (პრცედურის დროს გამოყენებული ნიღაბი და არა N95, თუ პაციენტს არ შეუძლია ნიღბის გამოყენება, დაუფარეთ ცხვირი/პირი ზეწრით; სასწრაფოს მანქანაში შეყვანის შემდეგ შესაძლებელია ზეწრის მოხსნა)

სამედიცინო პერსონალი ტრანსპორტირებისპროცესში	ხელის ჰიგიენა გამოიყენეთ ხელთათმანები პაციენტთან კონტაქტისას	ხელის ჰიგიენა გაიკეთეთ ნიღაბი თუ პაციენტს არ უკეთია ნიღაბი	ხელის ჰიგიენა გაიკეთეთ შესაბამისი ნიღაბი ან რესპირატორი თუ პაციენტს არ უკეთია ნიღაბი
ოჯახის წევრები	სთხოვეთ დაიბანონ ხელები ან გამოიყენონ ჟელე, არ სჭირდებათ იდს		
ყველა პირი ოთახში შესვლა დანიშნეულბის ადგილზე (სამედიცინო პერსონალი და მშობლები/ვიზიტორები)	ხელის ჰიგიენა ხალათი ხელთათმანები	ხელის ჰიგიენა ნიღაბი	ხელის ჰიგიენა N95 რესპირატორი

<u>დამატებითი ინფორმაცია:</u>

<u>www.moh.gov.ge</u>
ცხელი ხაზი: 1505

<u>www.ncdc.ge</u>
ცხელი ხაზი: 116001

StopCoV.ge